

საინტერესო წიგნი ინფორმატიკაზე ეკონომიკასა და ბიზნესში¹

ზურაბ მუნაჩიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი

ამჟამად ცოდნის განუყოფელ ნაწილად კომპიუტერული უნარ-ჩვევების ცოდნაა. ინტერნეტით სარგებლობა, სოციალურ ქსელებში მუშაობა, საოფისე პროგრამებით სარგებლობა ჩვეულებრივი მოვლენაა. კომპიუტერის რესურსებით სარგებლობის, საოფისე პროგრამებთან მუშაობის საკითხებისადმი ქართულ და უცხოურ ენებზე უამრავი ლიტერატურა არსებობს ნაბეჭდი, გრაფიკითა და ვიდეო ინფორმაციით გაფორმებული ელექტრონული სახელმძღვანელოების, ვიდეო გაკვეთილების სახით. ინტერნეტში განთავსებული სპეციალური ელექტრონული ტრენაჟორებით ხორციელდება ამოცანების ამოხსნა და ცოდნის ათვისება.

სარეცენზიო ნაშრომი ორიენტირებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. მასში ასახულია თსუ-ში დამტკიცებული სილაბუსით გათვალისწინებული საკითხები. ნაშრომი შედგება შესავალის და 13 თავისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან. მოიცავს 495 ნაბეჭდ ვერსიას.

პირველი თავში მოცემულია ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკაცია, შეფასების მეთოდები და თვისებები, განხილულია კომპიუტერის ტექნიკური ნაწილი და საერთო სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები. ამ თავში განხილული საკითხები საინტერესოა არამარტო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის სტუდენტებისათვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვისაც.

ნაშრომის მეორე თავში მოცემულია ტექსტურ რედაქტორში – Word-ში დოკუმენტების მომზადების, გაფორმების ტექნიკა და ტექნოლოგია, კერძოდ: Word-ის გარემოში არსებული შაბლონების გამოყენება, სტილების შექმნა და გამოყენება, ცხრილების შექმნა, სარჩევის ავტომატურად შექმნა და საქმიანი წერილების მართვა. აქ განხილული დოკუმენტების შექმნისა და გაფორმების ტექნიკა და ტექნოლოგია ნებისმიერი შინაარსის მქონე დოკუმენტის გაფორმებისთვის გამოიყენება. თავის სათაურის მიხედვით ბიზნეს-გარემოში არსებული დოკუმენტების გაფორმებას განსაკუთრებული მიდგომა ჭირდება. რაც ტექსტიდან არ ჩანს. გაუგებარია რა პრინციპით არის შერჩეული საკითხები, განხილულია სარჩევის ავტომატურად ფორმირება, მაგრამ ყურადღების მიღმა დარჩენილი ბიბლიოგრაფიული საძიებლის შექმნა და სხვა.

მესამე თავი მიძღვნილია MS PowerPoint-ის გამოყენებით პრეზენტაციების შექმნისადმი.

სარეცენზიო ნაშრომის მეოთხე-მეცამეტე თავები Excel-ის გარემოში მონაცემების დამუშავების ტექნიკასა და ტექნოლოგიას ეხება. დეტალურადაა განხილული ოპერა-

ციები ფურცლებთან, უჯრებთან, ფორმულების დაწერა და რედაქტირება, ვიზუალიზაციის საშუალებები, მონაცემების ფილტრაცია, მონაცემთა კონსოლიდაცია, ფორმულების შემოწმება, მონაცემების წარმოდგენის გრაფიკული საშუალებები, მონაცემთა ანალიზის საშუალებები. სხვადასხვა თავშია გაბნეული Excel-ში არსებული ფუნქციების განხილვა, კერძოდ: ლოგიკური ფუნქცია IF, ტექსტური, მათემატიკური, სტატისტიკური, ფინანსური ფუნქციები.

სარეცენზიო ნაშრომი განხილული ნებისმიერი საკითხი ილუსტრირებულია ამოცანებითა და სავარჯიშოებით

სარეცენზიო ნაშრომი დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისგან:

1. სათაურების მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნაშრომში ჩამოთვლილ ფუნქციათა ჯგუფებში არსებული ყველა ფუნქციაა განხილული. სინამდვილეში ეს ასე არ არის. მაგალითად: Excel-ში არსებული 24 ტექსტური ფუნქციიდან განხილულია 5 ფუნქცია, 7 ლოგიკური ფუნქციიდან – 1, 49, მათემატიკური ფუნქციიდან – 4, 57, სტატისტიკური ფუნქციიდან – 9, 58, ფინანსური ფუნქციიდან – 5. უმჯობესი იქნებოდა სათაურში ყოფილიყო „ზოგიერთი“;

2. თითქმის ნაშრომის ყველა თავი იწყება სიტყვებით „ბიზნეს ამოცანების....“ იქმნება შთაბეჭდილება, რომ დოკუმენტების შექმნის, პრეზენტაციები მომზადების, Excel-ის გარემოში მუშაობის აღწერილი ტექნიკა და ტექნოლოგია მხოლოდ ბიზნესის ამოცანისთვის არის სამართლიანი;

3. ნაშრომში აღწერილია საოფისე პროგრამების ინგლისურენოვან ვერსიასთან მუშაობა. დარწმუნებული ვარ, რომ ავტორებმა იციან ყველა საოფისე პროგრამასთან (Access-ის გარდა) ქართულ ენაზე მუშაობის შესაძლებლობა. სასურველი იყო სარეცენზიო ნაშრომში ქართულენოვან ინტერფეისთან მუშაობის ასპექტები გათვალისწინებული ყოფილიყო.

პროფ. დ. სიჭინავას რედაქციით ავტორთა კოლექტივის მიერ წარმოდგენილი სარეცენზიო ნაშრომში ნებისმიერი საკითხი ეკონომიკური ხასიათის საინტერესო ამოცანებითაა ილუსტრირებული, დეტალურადაა აღწერილი ამოცანების ამოხსნის ტექნოლოგია. წიგნი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური და ბიზნესის პროფილის სტუდენტების, სპეციალისტების და ყველა დაინტერესებული პირის მიერ დამოუკიდებლად Word-ის, Excel-ის და PowerPoint-ის ასათვისებლად.

¹ ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. პრაქტიკული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. პროფ. დ. სიჭინავას რედაქციით, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი 2016, 495 გვ.